

## შპს „საქონის ხელნაშრის გაშიფვრა გამოყენებითი მათემატიკის მათოდების დახმარებითი დახმარებითი

აღიკო ცინცაძე, ტ.მ.დ., პროფესორი

რეზოუტე

მოცემულია გამოყენებითი მათემატიკური უზრუნველყოფის დახმარებით მეთე საუკუნის ქართული ხელნაწერის, იოანე-ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისა“-ს გაშიფვრის შედეგები.

**საკანონი სიტყვები:** კალენდარი. ანბანი. დათარიღება. ივის პარამეტრი.

### 1. შესავალი

თანამედროვე მათემატიკური ლიოგიკის, მათემატიკური ლინგვისტიკის, სტატისტიკის პირველსაწყისი მეთოდების გამოყენებით, მეთე საუკუნის ხელნაწერის გაშიფვრა და მასში ასტრონომიულ-რელიგიური ინფორმაციის მიგნება, კიდევ ერთხელ ადსტურებს იმ უდავო ჭეშმარიტებას, რომ „უველეს ხელნაწერთა დაშიფვრას რელიგიურ-ასტრონომიული და მათემატიკური საფუძვლები აქვთ“ [1]. იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისა“, როგორც ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისთვის, ისე საერთო მწერლობისთვისაც უმნიშვნელოვანებს ქებლადაა მიჩნეული. მისი გაშიფვრის პირველადი შედეგები მოცემულია ნაშრომში [2]. თვითონ „ქებაი და დიდებაის“ ხელნაწერი 1886 წელს სინას მთაზე იპოვა ბ-ნმა ალექსანდრე ცაგარელმა. ითვლება, რომ იგი მეთე საუკუნის ძეგლია და ავტორი იოანე-ზოსიმე, რომლის ხელნაწერებშია ნაპოვნი.

თითქმის ათი საუკუნე ძეგლი ამოკითხვას ელოდა, ხოლო ბოლო 120 წელი მას მეტად ინტენსიურად იყვალევდნენ. დღეისთვის „ქებაი და დიდებაის“ სულ ოთხი ხელნაწერია ნაპოვნი, აქედან სამი იოანე-ზოსიმეს საკუთარი ხელით გადაუწერია. კომენტატორებმა (ა.ცაგარელი, ა.კეკელიძე, პ.ინგოროვება) ტექსტი ამგვარად გაიგეს: „ქართული უფლის ენაა, სხვაზე აღმატებული და უკათსი, მეორედ მოსვლის შემდეგ ღმერთი ქართულად განიკითხავს.“

ტექსტი ქართული ეკლესიის სიწმინდედ თოვლება და ლაზარეს ხენების შაბათს, ქართულ ეკლესიაში იკითხება. ამანაც განაპირობა, რომ ხელნაწერის კვლევას ასზე მეტი სერიოზული ნაშრომი მიეძღვნა, მაგრამ თუდაც ცალკეული ამონასნების მიგნება, არ ხსნდა ტექსტს სისტემურად, პირიქით, თითქოს კიდევაც აბუნდოვანებდა მის გარშემო შექმნილ სიტუაციას. ცალკეული ამონასნებიც ავტორის სტრატეგიის ნაწილი იყო, რითაც უმთავრესი, გლობალური ამონასნისკენ მიყვავდით.

გლობალური ამონასნი კი იმ ეტაპზე ვერ იქნა მიგნებული, ამის გამო, „ბუნდოვანება“ საერთოდ ავტორის წერის სტილად ჩაითვალია. ამავე დროს, ხელნაწერი რომ დაშიფრული გზავნილია, იოანე-ზოსიმე თავად არ მაღავს, როცა სიტყვას „მარაგს“ ახსენებს. „მარაგი“ კიდევ სულხან-საბას მიზედვით დაშიფრული, ამოსაკითხი სიტყვაა. ამასთან ავტორი ტექსტში თვალშისაცემ „შეცდომებს“ უშვებს, მაგ: დღემდეს (დღესამომდე) წერს ასე – „დღემდე“, დამარტულს – „დამარხული“, იყენებს ქარაგმებს სხვადასხვანარად, მაგ: „ღ.თმნ“, „ღ.თმან“, „ღ.მზ“ (ღმერთმან) და ა.შ.

ეს ავტორის გამიზნული სელაა, რათა თვალსაჩინო გახადოს გამოყენებული შიფრი. მეორეც, და ალბათ, უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ასეთი ლექსიკური „გადახვევების“, „შეცდომების“ გრუმე ავტორი ვერ შეძლებდა შიფრის პირობების დაცვას; ტექსტში სასურველი რიცხვული არის შენარჩუნებას. ის რომ შიფრი ვერ გახსნეს, გახდა იმის მიზეზიც, გაჩერილიყო მოსაზრებები: „იოანე-ზოსიმე ცუდად ხედავდა“, „ცუდი მექართულე“, უფრო მეტიც, „ცუდი მართლმადიდებელი იყო“ და ა.შ.

### 2. მირითადი ნაწილი

ჩვენს მიერ ხელნაწერის კვლევა მისი სტატისტიკური ანალიზით დაიწყო, რამაც ნათლად გამოაჩინა: ტექსტის ასიოთი სტატისტიკურ-ალბათური მასსიათებლები (მომენტები) საგრძნობლად განსხვავდებოდა იმ პერიოდის ქართული ტექსტებიდან. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ხელნაწერი ფარულ ინფორმაციას შეიცავდა და „სტანდარტული“ მაჩვენებლიდან გადახვევის მიზეზიც ეს გახდა. როგორც წესი, გამოყენებული შიფრი რიცხვული ინფორმაციას ყორძობა, ამიტომაც მოძიებული იქნა დაშიფრის უშველესი, რიცხვზე ორიენტირებული მეთოდები. ამან საშუალება მოგვცა კვლევაში სტატისტიკური ანალიზის მეთოდიკაც ჩაგვერთო. გამოირკვა, რომ ბიბლიის გაშიფრის ერთ-ერთი, გემატრიის (პემატრია) სახელწოდებით ცნობილი მეთოდი სწორედ ამგვარი თვისებით ხასიათდება. იგი საშუალებას იძლევა ყოველი ასო, სიტყვა, ან მთელი ფრაზა გარდაიქმნას რიცხვად, მისი მდგრელი ასოების რიცხვ-მნიშვნელობების, ან რიგითი სათვალავის მიზედვით.

ჰემატრია ძლიერ ბევრ საერთოს პოლილობს თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის მეთოდებთან, რომლებიც გამოიდინ კიდევ მისგან. საინტერესო ისაა, რომ იოანე-ზოსიმე თვითონ აკეთებს მინიშნებას ჰემატრიაზე, როცა ტექსტში ასო-ნიშანი რიცხვში გადაცავს. იგი წერს: „სახარებასა შინა თავსა მათებისა წერილ (წილი) ზის, რომელ ასოს და იტყვის 4000-სა მარაგსა.“ ამ 4000-ზე იგი მეორეჯერაც ჩერდება, ფაქტობრივად, ხაზს უსვამს ასო-ნიშნის რიცხვში გადაცავას აუცილებლობას. სულ ოცდათ

სტრიქონიან ტექსტში, ერთი და ოგივე ინფორმაციის ორჯერ, სხვადასხვანაირად გამეორება მნიშვნელოვანი მინიშვნება ხდება.

ხელნაწერი დაშიფრული გზაგნილია და უფრო ცხადი სახით შიფრის გამომზურება, დაშიფრას აზრს დაუკარგავდა. ქართულ ენაში ჰემატრიის აღდგნა როგორც და მეტად შრომატევადი საშე გამოდგა და მოცულობით მნიშვნელოვანი სამუშაოების ჩატარება მოითხოვა; ფაქტობრივად, მოხერხდა ჰემატრიის აღდგნა, როგორც კვლევის მეთოდმა შეიძლება დამოუკიდებლი გამოყენება პპოვოს ქართულ ენათმეცნიერებაში. გაანალიზდა ებრაული, ბერძნული, ლათინური ჰემატრიის მეთოდები. ქართულ ჰემატრიამ წესები იგივე შენარჩუნა და ეს სრულიად ლოგიკურია; მაგრამ მსოფლმხედველობრივ-სარწმუნოებრივი თავისებური, მხოლოდ წინაქართული სამყაროსთვის დამახასიათებელი საფუძვლებიდან გამომდინარე ქართული ჰემატრია, მისი რიცხვული სტრუქტურით, განსხვავდება ებრაული, ბერძნული და ლათინური ენების ჰემატრიებიდან. სარწმუნოებრივად ეს მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი ფაქტია[2]. „მცირე ქართულ ლექსიკონის“ (1200 სიტყვა) ლექსიკურ მარაგზე აგებული იქნა ჰემატრიული ჰისტოგრამა, გამოვლენილი იქნა ჰემატრიული უბნები, სადაც დამთხვევების ალბათური შემოწმება აუცილებელი ხდება და პირიქით.

ამ სირთულეების დაძლევის შემდეგ მიყუბრუნდით ხელნაწერის კვლევას.

მთავარი „ბუნდოვანება“, რომელიც ტექსტში გვხდებოდა მისი კულმინაცია იყო:

„და სასწაულად ესე აქუს (ქართულს): ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი უმეტეს სხუათა ენათა ქრისტეს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე (დღემმდე)“.

გაუგებარი იყო, როგორ შეიძლებოდა ერთ ენას მეორეზე მეტი, თუნდაც სასწაულის ნიშანი 9 4 ჰქონდა. აქ ყურადღება მიექცა იმას, რომ 9 4-ს შემდეგ სიტყვად „წელი“ მოსდევს. ამან გვაფიქრებინა, რომ დასკანა უძველეს ტექსტებში დაშიფრული ასტრონომიულ-კალენდარული ინფორმაციის არსებობაზე ამ კონკრეტულ შემთხვევაში საფუძველს მოკლებული არ იყო; და ძიებაც ასტრონომიულ-კალენდარული მიმართულებით წარიმართა. რადგან ქართველ სწავლულ-ქურუმთა თაობაზე წერილობითი წყაროები ფაქტობრივად არ გვაქვს, ეს ვაკუუმი გვვიპტურ-შუმერული ინფორმაციით იქნა შევსებული. ქურუმთა ჩაკეტილ კასტაში ინფორმაციის გაცვლა ამის შესაძლებლობას ქმნის.

ძვ.წ.ა. მეოთხე თასწლეულში ეგვაპტებ მზის მოძრავ კალენდარს მიაგნო და მისი გამოყენება დაიწყო. იგი თველის 12 თითო 30-დღიან თვეს, ბოლოში მას ემატება 5, ღმერთისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო დღე, ანუ სულ გვქონდა:

$$12 \times 30 = 360,$$

$$5 + 360 = 365.$$

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ე.წ. ტროპიკულ, მზის გარშემო დედამიწის შემოვლის რეალურ წელზე, უფრო მაღალი სიზუსტის ინფორმაცია არ ჰქონდათ; ეგვაპტელთა იმ დროინდელი ცოდნა დაახლოებით 5-ჯერ აღემატებოდა მზის უძრავ იმ კალენდარს, რომელსაც დღეს კაცობრიობა ხმარობს, მაგრამ სხვაგვარი კალენდრის გამოყენებას რელიგია კრძალავდა, ამას სარწმუნოებრივად სავსებით დასაბუთებული საფუძველი ჰქონდა[2].

მოვხდით 9 4-ის შემდეგ ხელნაწერში არსებული სიტყვა „წელი“-ს რიცხვული კონსტრუქციის ანალიზი: მისი მნიშვნელოვანი ასო „ლ“ (ლას-ი) რიგით სათვალავით (ნომრით) 12 და რიცხვ-მნიშვნელობით 30-ა და ზემოგანხილული ჰემატრიის ერთ-ერთი წესი იძლევა მათი გადამრავლების საშუალებას; ანუ უპვე აქ ჩნდება წრის 360 ნაწილის, შემდეგში გრადუსის, წლის დღის მიღების შესაძლებლობა. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ასო „ლ“-ს სახელი „ლას-ი“ თვეზის უძველესი ღვთაება (აკად. გიორგი ჩიტაია), ხოლო ის, რომ იგი თვეზის ზოდიაქოს ნიშანია ქართულ ანბანში ბ-ნმა რამაზ პატარიძემ აჩვენა. „თევზი“ მაშინ მეოთომეტე ზოდიაქო იყო ცარგვალზე და იქ წრე სრულდებოდა, ანუ იგი, „ლას-ი“ წრის 360 გრადუსს, ნაწილს უნდა იძლეოდეს, ასეც არის:

$$12 \times 30 = 360.$$

წელში „ლ“-ს წინ ასო „ე“-ა, იგი რიგითი სათვალავით ქართული ანბანის 5-ე ასოა, და ხორციელი ღმერთის ნიშანი[1], მაშინ სავსებით ლოგიკურად „ელ“-ი (ელოდები) იძლევა:

$$5 + 360 = 365.$$

ანუ „ელ“ ქართული ანბანის გათვალისწინებით მზის მოძრავი კალენდრის ჩანასახია, თუ მიღებულს დაუმატებთ თავში „წ“-ს, წრის (იმ დროს თვლიდნენ, რომ დედამიწა მზის გარშემო წრეზე ბრუნავს), და ბოლოში ბრუნვის ნიშანს „ი“-ს, მივიღებთ [1]:

„წ ე ლ ი“;

ეს ჩვეულებრივი სიტყვა სულაც არ გახლავთ, ეს დედამიწის მზის გარშემო შემოვლის დროის ერთეულია და როგორც ვხედავთ, ჰემატრიულად ატარებს კიდეც კალენდრის რიცხვულ მექნიზმს. ე.ი. იგი ვინც შესაქმისისას ქმნიდა კალენდარს, ქმნიდა კიდეც დროის იმავე ერთეულის შესატყვისს ტერმინს და მას მიგნებულ რიცხვულ კონსტრუქციას ატარდა. ამ დროს მას ანბანი ჰქონდა, ისე ამის გაკეთებას ვერ მოახერხებდა; მაგრამ „წელი“-ს კალენდარსა და იოანე-ზოსიმესგან ნახსენებ 9 4-ს შორის კავშირი არ არის.

ეს ასეც უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ „წელი“ სრულყოფილი კალენდარი არაა, მისი ცდომილება დაახლოებით 6 საათია წელში. ზელნაწერში რამდენიმე ასეთი ხელოვნური „შეუსაბამობაა“, რომელთა ამონსნა აუცილებელი ხდება (მაგ.: „სახარჯასა შინა მათეისას წერილი ზის, რომელი ასო არს“. ცხადა, „წერილი“ არა ასო, საჭიროა მისი ამონასნის მოქმედი; ეს „წილი“-ა). ანალოგოურად ხდება ამ შემთხვევაშიც, „წელი“ ისეთივე შეუსაბამო 94-თან, როგორც „წერილი“ ასოსთან. „წელი“-ს ამონასნის მისაგნებად, გავიხსნოთ: კალენდრის უზუსტობის გასწორებას მზის უძრავ კალენდარში ეცადა კაცობრიობა და დღეს ხმარებაში მყოფი კალენდარი ამის მაგალითია. 1980 წელს ქართველმა ენათმეცნიერებმა ანბანში მიაკვლიეს ე.წ. ქართულ კალენდარს, რომელიც 170-ჯერ უფრო ზუსტია, ვიდრე იმ პერიოდში ეგვიპტელთა ცოდნა კალენდარზე და 850-ჯერ აღემატება დღეს ხმარებაში მყოფ კალენდარს. ეს კალენდარი ყოველ 128 წელში თვითკორექტირების ხარჯზე გასაოცარ სიზუსტეს აღწევს და სულ 1-წამიან განსხვავებას იძლევა რეალურ დროსთონ. მაგრამ ანბანში მიგნებულ კალენდარს სავარაუდო სქემის გრძა სხვა მტკიცებულება არ გააჩნია და ბევრი ოპონენტიც გამოუჩნდა. ახლა ზუსტად იგივე კალენდარი მიგნებულია სიტყვაში[1], ეს „წელიწადი“-ა. სიტყვა „წელიწადი“ რიცხვულად მთლიანად ატარებს ზემოსხენებულ ქართულ კალენდარს. იგი 128-წლიან ცაკლებს ეყრდნობა და მასში 32 ნაკიანი წლის ნაცვლად 31 ნაკიანი წელია. მისი მექანიზმის უფრო დეტალურ ასნას აღარ შეუდგებით, რადგან რიცხვული კონსტრუქციის მოცემა „წელი“-ს ანალოგიურია და დეტალურად არის აღწერილი [2] ნაშრომში. აი, წელიწადს კი კავშირი იოანე-ზოსიმესგან მითითებულ 94-თან აქვს. როგორც აღმოჩნდა, ზელნაწერის ავტორს ქართული ენის „სასწაულის“ ნიშნად სიტყვაში ჩადებული ასეთი კალენდარული ინფორმაცია მიაჩნია; მისი ჰემატრია სწორედ 94-ის ტოლია (ფრჩხილებში ასოების რიგითი სათვალავებია მითითებული, რადგან სწორედ რიგით ჰემატრიას, ანუ მათ ჯამს ვთვლით):

წ(31) ე(5) ლ(12) ა(10) წ(31) ა(1) დ(4) –ი;

$$31 + 5 + 12 + 10 + 31 + 1 + 4 = 94.$$

„ოთხმელც და ათ თოთხმეტი“ = „წელიწადი“(94).

მხოლოდ ა.წ.წ.ა. მეთერთმეტე საუკუნეში შუა აზიაში მიიღეს კალენდარი (ომარ ხაიამის), რომლის სიზუსტე 19 წამია. მასზე უფრო ადრე 17 წამიან სიზუსტეს მაიას ცივილიზაციამ მიაღწია, ქართული კალენდარი გაცილებით ძველი და ზუსტი ჩანს.

თეორიულად გათვალა, რომ მთელი ზელნაწერის სრული ჰემატრია 8050 უნდა ყოფილიყო, ამ დროს გამოქვეყნებული ზელნაწერით იგივე რიცხვი არ მიიღობოდა. მოძიებული იქნა ზელნაწერის თავდაპირველი ვარიანტი და მათოვან ერთში სრული ჰემატრია სწორედ 8050 აღმოჩნდა (დანარჩენი ორი ძლირ მცირედ განსხვავდება მისგან, რაც ან ცუდი ამოკითხების, ანაც თავის დროზე ავტორისგან არასწორი გამოთვლის ბრალია). და რა არის 8050? იგი ზელნაწერის გლობალური ამონასნის, უზუსტესი ქართული კალენდრის რიცხვ-ნიშნათა ჰემატრიაა:

წ(4000) ე(5) ლ(30) ა(10) წ(4000) ა(1) დ(4) –ი;

$$4000 + 5 + 30 + 10 + 4000 + 1 + 4 = 8050 (!).$$

ზელნაწერს თან ახლავს ასოები: „ლ“; „ც“; „ქ“; „თ“. იგივე ასოთით ნიშნები გამოტანილია იოანე-ზოსიმესგან დახატულ ჯვარზე. თუ მათ სახელდებით ჩაგრერთ მივიღებთ: „ლას-ი ცან ყარ-თან.“ ე.ი. „ლას-ი“ იცანით ყართან“, (ლას-ი წრის, მზის გარშემო დედამიწის წრის მომცემი ასოა, ხოლო „ყარ“ ასო „ქ“-ს სახელი). თხოვნა ასო „ყარ-თან“ ინფორმაციის მოძიებას ეხება, და იქ მართლაც წერია 46 751. აქ 46 არის „ყარ“-ის რიგით სათვალავთა, ხოლო 751 კი მისი წინა ასო-ნიშნის, „ლან“-ის რიცხვ-ნიშნათა ჰემატრია:

ე(26) ა(1) რ(19); 26 + 1 + 19 = 46;

ლ(700) ა(1) 6(50); 700 + 1 + 50 = 751;

46 751 „წელიწადი“-თ მოტანილ 128-წლიან ციკლში დღეების რაოდენობაა. ამ რიცხვს იოანე-ზოსიმე თავისი ფეხვდონიმით ფაქტობრივად „ზელს აწერს“, მისი სახელდების ჰემატრია ასეთია: იოანე(46) – ზოსიმე(71), ერთად 46 71. ეს თოთქმის 46 751-ია, უფრო ზუსტად მისი ჰემატრიულად მოცემა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. იგივე მექანიზმი მეორდება 8050-სა და 850-ს შორის. 8050-ზე ზემოთ ითქვა, 850 ის სიზუსტე, რომლითაც ქართული კალენდარი (წელიწადი) აღემატება მზის მოძრავ, დღეს მოქმედ კალენდრის. კალენდრის იდუმალება იხსება არაერთგზის. მთავარი ისაა, რომ ცივილიზაცია, რომლის გზავნილიც იქნა მიგნებული წელიწადს 1 წ.მ.-ის სიზუსტით ზომავდა(!).

როგორც ითქვა, კალენდარი „წელიწადი“ დაემთხვა 1980 წელს ქართველ ენათმეცნიერთა მიერ ანბანში მიგნებულ კალენდარსაც. შემთხვითი დამთხვევის ალბათობა  $10^{-9}$ -ის ტოლია; ზელნაწერის იდემალება გახსნილია. რაც მთავარია, ასო „წ“, რომელზეც განსაკუთრებით ჩერდება იოანე-ზოსიმე და კალენდრის შემოქმედიც ანბანში ჩადებული ე.წ. „პ“ რიცხვია (რ.პატარიძე). იგი ანბაში 31-ე, მნიშვნელობით – 4000, ერთად კი 314000, როცა ათწილადები არ გვქონდა „პ“ რიცხვი 3,14 სწორედ ასე იწერებოდა. 4000 იოანე-ზოსიმეს „მასშტაბით“: „ათასი წელი, ვითარცა ერთი დღე“; სწორედ ლაზარეს (ქართული ენის) აღდგინების თარიღს იძლევა. უკვე შეძლევ იგივე სიუჟეტი ჩანს „ბიბლიაში“. როგორც აღმოჩნდა,

იოანე-ზოსიმებ ბიბლიის გაშიფრვის მეთოდით, პემატრიით თვითონ გაშიფრა ქართული სიტყვა და იქ მიაგნო ამ „სასწაულს“, გზავნილს, ხელოვნურად შექმნილ, შეიძლება ითქვას, ასტრონომიულ ინფორმაციაზე ორიენტირებულ სიტყვებს, სწორედ ამიტომ მიიჩნია ქართული „უფლის ენად“.

და რა უმთავრეს სათქმელს გვეუბნება იოანე-ზოსიმე, უფრო სწორად ქართული კალენდრის შემოქმედი კალენდრით „წელიწადი“?

გარდა იმისა, რომ კალენდარს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, იგი პირდაპირ ამხელს თავის სარწმუნოებრივ გზავნილს:

„წ-ელი-წადი!“ (ელი წადი!)

„ელი“, როგორც ზემოთ ვნახეთ, წინა კალენდრის (წ-ელი) ფუძე იყო და უძველესი ღვთაების, (ებრაული, გალური) ღმერთის სახელი. იგი უნდა წავიდეს, „ელის“ წასვლით მოდის ახალი ეპოქა, იესო ქრისტეს ეპოქა. დამტკიცდა, რომ ეს გზავნილი გაცილებით ადრეა დაწერილი, ვიდრე დედამიწას იესო ქრისტე ხორციელად მოევლინებოდა [2].

იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა წინაქრისტიანულ ქართულ ცივილიზაციაზე და გარკვეულად ცვლის კიდეც მის პირველისტორიას; საქმე იმაშია, რომ მისი შიფრის გასაღები, იგივე ბიბლიის გასაღები ქართულ ენაში ეფექტურად ფუნქციონირებს და მრავალ ახალ საიდუმლოს ამხელს; როგორც იოანე-ზოსიმე წერს: „კველა საიდუმლო ამა ენასა შიგან დამარხულ არს...“

იოანე-ზოსიმეს მოღვაწეობის ორივე სფეროში, როგორც ხვთისმსახურებაში, ისე ჟამთაღწერაში გააზრებულად, ხელოვნურად შექმნილი მრავალი სიტყვა, ქურუმთა ფარული ენის ნაშთებია მიგნებული, ყველა მათგანი ერთიან სქემაში ჯდება, და სისტემურად ხსნიან იოანე-ზოსიმეს ხელნაწერში გაჩენილ კოზვებს.

#### ლიტერატურა:

1. სიტჩინი ზ.ა. კოსმიტური კოდი. მოსკოვი, გმ, „ნაუკა“, 2007, (რუს. ენაზე);  
2. ცინცაძე ა.ვ. მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა. თბ. 2010, დეპონირებულია ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული სააგენტოს მიერ, №4044.

### DECODING OF THE ANCIENT MANUSCRIPT WITH THE HELP OF MATHEMATICAL METHODS

Tsintsadze Aliko, Doctor of TS, Professor, Georgia

#### Summary

Here are given the results of Jhoan-Zosim's manuscript 'Praise and Honour of Georgian language' /dated the X century/ decoding with the help of applied Mathematical provision.

, დ. . . ,

- «

»,

### „ასტრონომიულად ორიენტირებული“, დეტერმინირებული სიტყვადარმოქმნისა ძეტერმინირებული ალგორითმი

ალიკო ცინცაძე, ტ.მ.დ., პროფესორი

#### რეზიუმე

მოცემულია ქართულ ენაში გამოყენებული, უძველესი ასტრონომიული ინფორმაციის მომცველი, ხელოვნური სიტყვადწარმოქმნის დეტერმინირებული ალგორითმი.

**საკანო სიტყვები:** კალენდარი. ანბანი. დათარიღება. მზის პარამეტრი. მზე.

#### 1. შესავალი

„ნებისმიერ თეორიაში ზუსტად იმ რაოდენობითაც არის მასში მათემატიკა“-წერდა კანტი. ახლა შევიძლია ამ პიპერბოლის პერიოდურაზი გაგაკეთოთ და ვთქვათ, რომ „ნებისმიერ ენაში იძღენად არის გააზრებული საწყისი, რა რაოდენობითაც არის მასში მათემატიკა.“ ჩვენ ე.წ. „ასტრონომიულად ორიენტირებულ სიტყვებს“, ქართულ ენაში მიგნებულ ქურუმთა ფარული ენის ნაშთებს ვგულისხმობთ. იოანე-ზოსიმეს მეათე საუკუნის ხელნაწერის „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-ს გაშიფრამ[1] შექმნა შესაძლებლობა, მისი შიფრის გასაღებით უკვე ქართულ ენაში, ლექსიგაში „ასტრონომიულად ორიენტირებული“, ასტრონომიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გააზრებულად, ხელოვნურად შექმნილი სიტყვებისთვის მიგვევნო, რომლებიც პემატრიული მექანიზმით (მათემატიკურად) ჩადებულია მასში. ამ ბოლო დრომდე ენამეცნიერება თვლიდა, რომ სიტყვადწარმოქმნა ხმის მიბაძვით, ანაც ერთი ენიდან მეორეში ფონეტიკური ფორმაციულებით გადატანით ხდებოდა, ხოლო „ხელოვნურად

შექმნილი სიტყვების რაოდნობა ხელის თითებზე დაითვლება“ [2]. ხელოვნურად კი მხოლოდ კიბერნეტიკაში კარგად ცნობილი „რობოტი“, „კიბორგი“ და ბოლო პერიოდის ტექნიკური ტერმინებია შექმნილი. ბოლო პერიოდში შეიცვალა შეხედულება ამ საკითხზე; ხელნაწერის გაშიფრვა კი კიდევ ერთხელ უარყოფს ამ შეხედულებას.

ითანა-ზოსიმეს ზემოხსენებული ხელნაწერი ბიბლიის გაშიფრის მეთოდით გაიხსნა, როგორც აღმოჩნდა, თავიდან ავტორმა იგი ქართულ ენაზე გამოიყენა და თვითონ იპოვა ქართულ ენაში უამრავი ხელოვნურად, ასტრონომიული ინფორმაციის მატარებელი სიტყვა, სწორედ ამიტომ მიიჩნია ქართული „უფლის ენად“; ამიტომაც დაწერა „ქებაი და დიდება“ და მის შთამომავლობას მიანიშნა ენაში არსებული უდიდესი საგანძურო, დიდი ცივილიზაციის გზავნილი. მის კვალზე სელით ქართულში მიკვლეულია 60-ზე მეტი ასეთი სიტყვა. ეს მხოლოდ უძველეს სწავლულ-ქურუმთა ენის ნაშთები შეიძლება იყოს: წელი, წელიწადი, მნიშვნელი, წელადი, წელითი, მოქცევა, (კალენდარული სიტყვები), თოუეი, ართი, ერთი (კოდური სიტყვები), ღმერთი, ღვთაება, ღერ, ღერბ(ეთ) ღმერთი (სკან.), ღორონთი – ღმერთი (მეგრ.), ღღესინდელი, მორიგე, მარიგე, (ღმერთი – ფშავებენს.) ქურუმი, ხევისბერი, ფარნაგაზ, სამარ, გიორგი, არმაზ, ჯოვონეთი, მზე, მთვარე, მთვარე, ბუდობა, ბუნიობა, ბუნი, ბუ, არე, წერი, მიწა, კაბალა, ია და ასოთი თვლის პროცესში წარმოქმნილი სიტყვები, იბერია, ქალდა, მოსოხი, მესხეთი, ლაზეთი, ჭანეთი, ივერია, მარგალი, სვანი, გურია, იმერეთი, ქახეთი, ამერ-იმერი, და ა.შ..

მეცხრამეტე საუკუნეში ეგვიპტური იეროგლიფების გაშიფრვამდე, ეგვიპტოლოგია არც არსებობდა, იგივენაირად, ახლა ჩნდება შანსი, ახლებურად შევხედოთ ჩვენს წარსულს და ახალ ჭრილში გავიაზროთ „ქართველოლოგია“.

## 2. ნბირითადი ნაწილი

მიუუბრუნდეთ ასტრონომიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სიტყვადწარმოქმნის საკითხს. ივნე ჯავახიშვილი თვლიდა, რომ „წელიწადის თრ ნაწილად ოდინდელი გაყოფის კვალი არაერთი კულტურული ერის უძველესი ხანის მეტყველების და ტერმინების ანალიზითაც ირკვევა.“ წელიწადის თრ უამად გამყოფი „ზამთარი“ და „ზაფხულია“. ე.ი. ის პერიოდები, სადაც მზებუდობა უწევს. („გაზაფხული“, „შემოღომა“, უკვე მათგან ნაწარმოები სიტყვებია). მზებუდობა კი მზის ამოსვლის უკიდურეს წერტილებს იძლევა, რომელთა შორის მზის ამოსვლის წერტილი  $47^0$  რკალს გადის. ივანე ჯავახიშვილმა ცხადყო, რომ თუშური ლოცვის: „ცხრა ოც და სამ წმინდა გიორგი“  $183$  დღეს, ანუ ნახევარ წელს შეესაბამებოდა  $(183 + 183 = 366)$ , აქაც ისევ ის, მზისგან  $47^0$ -იანი რკალის გავლის დროა დაფიქსირებული. ზემოხსენებული უკიდურესი წერტილის მაფიქსირებელი სიტყვა „მზებუდობა“ კომპოზიტია, „მზის“ გარდა მასში შედის „ბუდობა“, იგი აფიქსირებს მზის ამოსვლის უკიდურეს წერტილს. დავთვალოთ ამ სიტყვის რიცხვული შიგთავსი, ე.წ. ჰემატრია; თუკი გამიზნული გზავნილი, ხელოვნურად შექმნილი, ასტრონომიული ინფორმაციის მატარებელი სიტყვაა, ერთადერთი ვარიანტია, ჰემატრია  $47$ -ის ტოლი უნდა იყოს (ფრჩხილებში ასოების რიგით სათვალავები, ქართულ ანბანში მისი რიგით ნომრებია მოცემული):

ბ(2) უ(22) დ(4) ო(16) ბ(2) ა(1),

$2 + 22 + 4 + 16 + 2 + 1 = 47$ . საოცარი და უდავო არგუმენტია (!!!).

თქმა არ უნდა, ჰემატრიული არგუმენტები ამ არეალში მრავლად მოიპოვება, მაგრამ უკვე აქ, დაახლოებითი შეფასებით, ფაქტის შემთხვევითად დადგომის ალბათობა 10 მილიარდიდან ერთა. სხვა ყველა ვარიანტში, იგი გაზრდებული შედეგია.

დავრწმუნდით, სიტყვა „ბუდობა“-ს ხელოვნურობის, „ბუდე“-დან ნაწარმოები სიტყვა- გზავნილის ყველა წინასწარი ნიშანი აქვს. შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ სიტყვის შექმნელებმა იცოდნენ  $47$  გრადუსიანი რკალის თაობაზე და იყენებდნენ ამას[1]. ამიტომაც დაარქვეს მზის უკიდურესი ამოსვლის წერტილის შესატყვის მოვლენას „მზებუდობა“. მზე „ბუდე“-ს წელიწადში ორჯერ ეწვევა. ეს სიტყვაც, ალბათ, „წელიწადის“ ( $47 \times 2 = 94$ ) თანადროულია (სიტყვა „წელიწადი“ მზის ქართული კალენდარია და ძვ.წ.).  $1000-800$  წლების შემდეგაა შექმნილი[1] და მისი ჰემატრიაც  $94$ -ია, ანუ  $47 \times 2$ -მზის ამოსვლის წერტილის წლიურად გავლილი გზა. მზის ცაზე სვლასთან დაკავშრებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა გვაქვს, ბუნიობა, რასაც „დღე-ღამე“-ს არქმევს ძელი ქართული, ამ დროს დღე და ღამე თანაბრძება. დავთვალოთ სიტყვა „სწორება“-ს ჰემატრია, ანუ ასოების რიგით სათვალავთა ჯამი:

ს(20) წ(31) ო(16) რ(19) ე(5) ბ(2) ა(1),

$20 + 31 + 16 + 19 + 5 + 2 + 1 = 94$  (!).

რადგან დღე-ღამე სწორებაც წელიწადში ორჯერაა, ამიტომაც აქ  $47 + 47 = 94$ -ს.

ისმება, აუცილებელად გასათვალისწინებელი კითხვა:

როგორ, და რა ალგორითმით იქმნებოდა, „ასტრონომიულ ინფორმაციაზე ორიენტირებული“, „საკულტო“ სიტყვა?

ერთა ხელნაწერის გაშიფრვა და მეორე ენაში ხელოვნურად შექმნილი სიტყვების მიგნება. ამით მდგომარეობა კარდინალურად იცვლება, და როგორც  $\delta$ -ი რამაზ შენგალია კრიტოგრაფიული ნიშნების

გაშიფრასთან დაკავშირებით (გ.კაშილავა) წერს: „რეგიონის ისტორიის კვლევაში ახალი ერა დაიწყება.“ აქე მეცნიერი გამოთქამს, როგორც ვნახავთ, სწორ ვარაუდი:

„ძალზე საინტერესოდ მეტვენება კრიპტების მოხაზულობის შედარება... ასტრონომიულ გამოსახულებებთან.“ (გვიგაური, „ფარული ნიშნები, 2010). სწორედ ცარგვალი იყო უფელესი ცივილიზაციისთვის „სასწაულების საუფლო“ და ასტრონომიული მიგნებების გადატანა ხდებოდა, როგორც სარწმუნოებაში, ისე ენაშიც.

ეტიმოლოგთათვის, რომელებიც იცნობენ სიტყვა „მზის“ წარმოქნის ვერსიებს, და კარგად იციან ისიც, რომ მისი წარმომავლობის საკითხები შესწავლილი აქვთ, ისეთ ავტორიტეტებს, როგორებიც ჯავახიშვილი[3] და მარჩია, რა თქმა უნდა, მიუღებელი იქნება მისი ხელოვნურად შექმნის იდეა. ისიც ცხადია, რომ ეს კარდინალურად ცვლის არაერთ ენათმეცნიერულ და ისტორიულ წინაქართულ ასპექტს, მაგრამ რიცხვულ-ალბათური ფაქტები ჯუტია და ამ საკითხის დეტალურად განვიხილვა მოვარიშვეს:

შევეცალოთ დაახლოებით აღვადგინოთ იგივე პროცესი, რაც შესაქმისისას ქურუმთა კასტაში ხდებოდა.

სწავლულებს პირველ რიგში, ალბათ, უნდა ჩაიწერათ 47. ამაზე ზემოთ უკვე ითქვა, ეს მზის ამოსვლის წერტილის გადადგილება ცაზე და უძველესი ცივილიზაციის უმნიშვნელოვანების მონაპოვარი იყო. ამ დროს მათ ციფრები არ ჰქონდათ, ასოებით კი 47 ჩაიწერება ასე (ვითვლით რიცხვ-მნიშვნელობების ჯამს):

„მ-ზ“(!). (მ – 40, ზ – 7; 40 + 7 = 47  $\longleftrightarrow$  „მზ“).

47 ანაბურად იწერება, როგორც „მზ“. თავიდანვე გაირკვა, სიტყვა „მზე“-ს შექმნისკენ მივდივროთ. ცაზე დაკვირვებისთვის ეგვიპტელი ქურუმები იყენებდნენ ხელსაწყოს, რომელიც ძალიან მიაგავდა მათ იეროგლიფს „წელ“-ი, რომელსაც შუაში სწორედ მზის გამოსახულება იყო, კალენდარი და ცაზე დაკვირვებაც მათთვის უმნიშვნელოვანების რიტუალი იყო, ამიტომ ამ სიტყვის შექმნას ქურუმები სხვას არც ანდობდნენ და ქურუმთა ფარული ენას ეს სიტყვა, რა თქმა უნდა ჰქონდა; მითურებეს, მათ იცოდნენ, რომ სამყარო ჰელიოცენტრულია[1].

წარმართულ ღვთაებათა რაობის გაგებისათვის „მზე“ (მთვარე) უმნიშვნელოვანები სიტყვაა. იგი ეტიმოლოგიურად სრულყოფილად გაანაბილია ივანე ჯავახიშვილმა. მან უარყო ნიკო მარრის თეორია: „პროფ. მარრმა ქართული „მზე“ არაბული „შემს“-ისა და ებრაული „შემაშ“-ს შესატყვისობად აღიარა და მათთან „მზე“ თავდაპირველი „ზმეპ“-ისგან, მეგრული „ბჟა“, „ჰმაპ“-ისაგან, ლაზური „მჟორა“, „ჟმოპა“-სგან წარმომდგრად მიიჩნია. მაგრამ ბერებით ასეთი გადასმისა და ცვლილების გამართლებად არავითარი საბუთი იქ წამოყნებული არ არის, არაბულ-ებრაულთან ქართული სიტყვის დამსგავსების გარდა ასეთი საბუთი არ ჩანს... „ბ“ (მეგრ. „ბჟა“ და ჭან. „ბჟორა“) „მ-ს მერმინდელი ჩანს(!).[3]. თვითონვე სცადა „მზით“ განდევნილი“ სახელის აღდგენას და გარკვეულად, შეძლო კიდევაც ეს. მაგრამ სიტყვა „მზის“ წარმომავლობის საკითხი დაიდ დარჩა.

ბუნებრივია, რომ ენათმეცნიერებას ამ სიტყვის ხელოვნურად, გააზრებულად შექმნის საკითხი არ განუხილავს. სიტყვის ხმების მიბაძით შექმნის, ფონეტიკური სახეცვლილების მეთოდიდან, მისი დეტერმინირებული, ერთმნიშვნელოვანი ალგორითმით მიღებაზე ქართულ ენაში გადასვლას, არც უნდა ველოდოთ; რადგან იგი ფაქტობრივად, ქურუმ-სწავლულთა ენის ქართულში გადატანის აღიარებას მოასწავს, მაგრამ არგუმენტები გვაქს და ისინი გასათვალისწინებელია.

მივუბრუნდეთ, ისევე მიღებულ „მზ“-ს. იგი რიგითი სათვალავით, შეოლოდ 20-ია (მ – 13, ზ – 7, 13 + 7 = 20), სასურველია, რომ 25-მდე შეივსოს, რადგანაც ანბანში 25-ე ასო მზის საბუდარია, იქ „უზილავი ღმრთის კარია“, 128-წლიანი კალენდრის რიცხვული პარამეტრებია და ა.შ.. [1]. მზის შესწავლის ციკლიც 25-წლიანია. ლეონტი მროველიც ასე წერს: „ჰმსახურებდნენ ღმერთსა უხილავსა, დამბადებელსა ყოვლისასა“. ანუ, ზემოთ მიღებული „მზ“ სასურველია შევავსოთ, თანაც ხმოვანი სიტყვის დასრულებისთვის აუცილებელი ხდება. შევსება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ რიგით სათვალავთა ჰემატრია 25 გახდეს, 25 – 20 = 5. საჭირო ხდება „მზ“-ს ანბანის მეტუთ ასო დავუმატოთ, სწორედ „ბედად“, იქაც ხმოვანი ზის; მხოლოდ ამგარად მივიღეთ სიტყვას, რომელიც, თან 47-ს მოიცავს და რიგით სათვალავთა ჰემატრიითაც 25-ია. „რიცხვული მისტიკის“ აქსიოდაც ეს ხდება, 47 ხვდება 25-ის შიგნით. 5-ე ნომრით, რიგითი სათვალავით კი ქართულ ანბანში ასო „ე“-ა, დავურთოთ იგი მიღებულ „მზ“-ს და საბოლოოდ, ვიღებთ:

$$\text{მზ} + \text{ე} = \text{მზე}.$$

ანუ, იმ სიტყვას, რასაც ველოდით. „მზე“ შეიქმნა და როგორც ჯავახიშვილი თვლის, იმდენად მნიშვნელოვანი გახდა, „განდევნა“ კიდეც წინარე ქართველური სიტყვა. სიტყვაწარმოქმნის პროცესი თითქმის დასრულებულია, მაგრამ კომპოზიტი „მზებუდობა“ მაინც შეიქმნა, და როგორ გვონიათ, მაინც რატომ? ბ-ნმა ზაქრია სიტჩინმა[1] ბიბლიასა და ებრაული ღმერთის (იეღოვა) ჰემატრიაში გაჩენილი 72 დაუკავშირა პრეცესიას, ანუ იმ პროცესს, რომ ცარგვალი 72 წელში ერთ გრადუსიან ბრუნს აკეთებს. სწორედ ამ რიცხვს იძლევა განსახილველი სიტყვა:

$$\text{მზე}(25) \longrightarrow \text{მზებუდობა}(72) \longleftarrow \text{ბედობა}(47);$$

$$25 + 47 = 72\text{-ს}.$$

თუ ვერწმუნებით ცნობილი მეცნიერის ზაქარია სიტჩინის თეორიულ ანალიზს „მზებუდობა“-ში, ცარგვალის პრეცესის თაობაზე, კიდევ ერთ საოცარ ასტრონომიული ინფორმაციას ვხედავთ. ურთულესი, ურთიერთგანმაპირობებელი და ლოგიკურად შექმრავი არგუმენტია, რომელიც სხვა გზასაც არ ტოვებს, უნდა მივიღოთ დაშვება მთელი ამ სქემის ხელოვნურად შექმნის თაობაზე.

ახლა მექანიზმი სრულად აღდგენილია.

72 – პრეცესის რიცხვი, ანბანური ჩაწერისას ასე იწერებოდა: „ობი“ ( $\omega = 70$ ,  $\delta = 2$ ;  $70 + 2 = 72$ , „ობ-ი“), მეორე მხრივ, სიტყვა „ობი“ განიმარტება ასე: ტენიანმა ადგილმან, ან საჭმელმან ხანიერმა თეორი ბიძგი მოიკიდოს (ს.ს.). იგნე ჯავახიშვილი სეტყვა-ავდოის ლვთაების თავდაპირველ სახელად „ობი“-ს („ვობი“, „ვები“) მიიჩნევს [3]. იქნებ, ეს ლვთაებაც პრეცესის პემატრიის ასოთ ჩაწერიდან იღებს სათავეს, რადგან პრეცესის 72-წლიანი დრო ობის მოკიდების სემანტიკური გაგრძელებაა. წინაქართულში ტაროსის ლვთაების ორიოდე ლვთაებაა დაძინილი (ელია, ობი) და ორივეს კალენდარულ-პემატრიული წარმოშობის ჰიპოთეზა აშკარაა.

ამ ექსპერიმენტის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ ნიკო მარრი მართალია და მისგან მოტანილ სიტყვებს შორის კავშირი რეალურია, მაშინ საწყისი სიტყვა სწორედ „მზე“-ა. კავკასიურ ენეტი არსებული „მზე“-ს ფორმაციელილება ქართულიდან უნდა იყოს შეტანილი. თუმცა დაილექტებში არაერთი მზის სახელი გვქონდა, „მზე“ (იგივე მოხდა „მთვარე“-სთან მიმართებაშიც) მაინც იქმნება, მაგრამ ეს ანბანის შემდეგ შექმნილი, პემატრიული სიტყვაა. მზის, მთვარის სახელები დაილექტებში მრავლადა (ბჟა, მჟორა, ბჟორა, მიუ, თუთა, თუთაშა, თუთაჩა, დოშ), ალბათურად ცხადია, რომ ზოგადქართული სწორედ ანბანით, 47-სა და 49-ის, ძირითადად, ასტრონომიული ინფორმაციით, პემატრიის გავლენით მიღებული ფორმებია.

„ქართული ანბანის ავტორებმა უდიდეს ასტრონომიულ აღმოჩენებამდე გაცილებით ადრე იცოდნენ, რომ ჩევნი სამყარო პელიოდუნგრულია და არა გეოცენტრული, როგორც ეს ძველაბალონელებს ევონათ“ – წერენ ბ-ნები, მათემატიკოსები ნოდარ კანდელაგი და გურამ ცერცვაძე ქართული ასომთავრულის ანბანურ-რიცხვული სტრუქტურის ანალიზიდან გამომდინარე („ქართული ასომთავრული ანბანის კრიპტოანალიზი“, 2005, გვ.112). როგორც ჩანს, ასეც იყო. მიღებული შედეგების ფონზე, ამ დასკვნას იქითენ მივყართ: საქმე გვაქს ზოგადსაკაცობრიო ანბანურ-რელიგიურ პირველისტორიასთან.

განხილული პემატრიულ-ლექსიკური ჯაჭვიც ეჭვს აღარ ტოვებს, რომ ზემოხსენებული კალენდარული სიტყვები მზის არამეტრებიდან გამომდინარეა შექმნილი; ამიტომაც ხდება ე.წ. ქართული პემატრია, ვარსკელავითმრიცხველ სწავლულთა ცაჲე „წაკითხული“, სიტყვაში გაღმიოტა.

ამ, მაგალითი, პემატრიის გამოყენებით, თუ როგორ იქმნებოდა ასტრონომიული ინფორმაციის მატარებელი სიტყვები. როცა პემატრიაზე ვსუბრობდით ითქვა, რომ თვისობრივად მნიშვნელოვანი რიცხვების ერთი ნაწილი ცაჲე დაკვირვების შედეგებიდან იყო მიღებული, მაგრამ ის, რასაც ქართულ ენაში ვპოულობთ გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ პემატრიული რიცხვი. ეს ცდება პემატრიის საზღვრებსაც.

წამოყენებული თეზის მტკიცება ასეთა: თუ ებრაული პემატრია იღებდა, ვთქვათ, იგვე პრეცესიის რიცხვს 72-ს, აფეტიშებდა და იელოვას რიცხვად აქცევდა; როგორც ვნახეთ, ქართულ სიტყვაში ასტრონომიული ინფორმაციის კომპლექსი და მოჟლი მექანიზმია ჩადებული: ჯერ ხდება მზის წლიურად გავლილი გზის, მისი ერთი ნახევრის, რიცხვ-მნიშვნელობებით ჩაწერა, ამის შემდეგ რიგით სათვალავთა პემატრიით, მარცვალი მიიყვანება, შეივსება სრულ სიტყვამდე. თანაც ისე, რომ პემატრიულად უხილავი ღმერთის, საკრალური ნიშნის რიგითი ნომერი (25), მზის ციკლის შესწავლის პერიოდი მივიღოთ. ფაქტობრივად, სიტყვაში „მზე“, გვაქს ორი ასტრონომიული ინფორმაცია: მზის გადაადგილების გზისა და ისევ, მზის შესწავლის ციკლის თაობაზე. ბოლოს იქმნება კომპოზიტი „მზებუდობა“ და მექანიზმს ავსებს ინფორმაცია პრეცესიის დროზე. მეტი რა ინფორმაცია შეიძლება ერთ კომპოზიტში იღოს?! თანაც ამ ინფორმაციის შესატყვისი ასოთით ჩაწერა („ობი“) სემატიკური მნიშვნელობის გარდა (ობის მოკიდება), ტაროსის ლვთაებაც ხდება. ეს ხომ იმასაც ნიშნავს, რომ ჩვენ წარმართულ პერიოდს, უძველეს წინაქართულ სიტყვებში ჩადებულ საოცარ ინფორმაციას ვეხებით. მხოლოდ ერთი კითხვა რჩება პასუხაუცემელი, ვინ და რა გზით შეძლო მისი მოპოვება?!

მზესთან დაკავშირებული ლექსიგა ქართულ ენაში მჭიდროდ დაუკავშირდა მზედველობას. ასე მივიღეთ სიტყვა „მზე-რა“; ეს ერთი მხრივ მზერა, ხილვა, მეორეს მხრივ, პირდაპირ გვესაუბრება იმაზე, რომ „მზე“ არის „რა“ (ეგვ.); რაც კიდევ ერთი ქართულ-ეგვიპტური კომპოზიტია. პემატრიულადაც, „მზე“ ანბანური „რა“-ს ტოლია:

$$\begin{array}{ll} \text{მ(13) ზ(7) ე(5);} & \text{რ(19) ა(1) ე(5);} \\ 13 + 7 + 5 = 25; & 19 + 1 + 5 = 25; \\ 25 = 25 & \end{array}$$

წინაქართული ენის ფუქე შეითვისა ხელოვნურად, გააზრებულად შექმნილი სიტყვები, იგივე, ქურუმთა ფარული ენის ნაშთები; ანუ, ქართული ანბანისმიერ, მის შემდგომად შექმნილი ენის ყველა ნიშანს ატარებს და ქურუმთა ფარული ენის საფუძველს ეყრდნობა.

დიდი ალბათობით, შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს ენაში ასტრონომიული ინფორმაციის მთელი მექანიზმის, სრულყოფილი ლოგიკური და ერთიანი კომპლექსის ერთობლივად გადატანასთან. ზატოწნად შეგვიძლია ვთქვათ, „საკულტო“ ქართული სიტყვა, ამ „კულტის“ ასტრონომიულ თვისებებზეა ორინტირებული. ვერ გეტყვით, რამდენად ჰქონდა გაცნობიერებული ითანამდებობა ეს ფაქტი, მაგრამ „უფლის ენის“ უმთავრესი არგუმენტი, მწვერვალი, ალბათ, სწორედ ესაა. ეს ისაა, რომლითაც ქართული ენა, „უმეტეს სხუათა ენათა“ განდა.

**ლიტერატურა:**

1. ცინცაძე ა.ვ. მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა. 2010, ინტელექტუალური საქართველოს ეროვნული სააგენტო, №4044
2. ძიძიგური შ.ვ. საქათმეცნიერო საუბრებ. თბ. „მეცნიერება“, 1975
3. ჯავახიშვილი ი.ა. საქართველოს ისტორია, ტ.1, თბ. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 1979.

**ASTRONOMICAL ORIENTATED,DETERMINATED WORD FORMATION**

**IN GEORGIAN /THE SUN/ /MZE/**

Tsintsadze Aliko, Doctor of TS, Professor, Georgia

**Summary**

The represented article discusses the determined algorithm of artificial word-formation used in the Georgian language and containing ancient Astronomical information.

«

-

»,

(

-

)

. დ. . . ,

,

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.